ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 41

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ახალქალაქი 25 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ხორენიის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის რუბენ ვარდანიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს 'მეეკი'' (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დიზელის საწვავი (CPV კოდი 09134200)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს __ __(ექვსასოცდათხუთმეტ)ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კარენ ნალბანდიან.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. ხელშეკრულებაზე კონტროლს განმახორციელებელი პირი-სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ანდრანიკ პალიან

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: სოფელი ხორენია.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 25 ოქტომბრიდან 2016 წლის და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
სოფელ ხორენიის საჯარო სკოლა
მის: ახალქალაქის მუნ-ტი სოფ. ხორენია
საიდენტიფიკაციო კოდი 223364455
ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი''
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა ა/ა *121120714486000*

ტელ: 551 08 52 00

სკოლის დირექტორი
რუბენ ვარდანიან

მიმწოდებელი:

შპს 'მეეკი"
მისამართი: ქ.ნინოწმინდა,სოფ.სათხა.
საიდენტიფიკ.კოდი:236684469
ბანკის კოდი: BAGAGE22
საქართველოს ბანკი
ა/ა: GE39BG0000000186505500
ტელ: 599 17 11 01, 551 96 00 00.

დირექტორი
ნ.მკოიან

მიღება-ჩაბარების აქტი № __.

ქ. ახალქალაქი

„ 26 ოქტომბერი 2016წ.

შპს 'მეეკი"-მ ჩააბარა, ხოლო ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ს. ხორენიის საჯარო სკოლის დირექტორმა რუბენ ვარდანიანმა მიიღო ხელშეკრულებით N-41 . 26.10.2015 წ. - დიზელის საწვავი-
173,15 ლარის ღირებულების.

_____
რ. ვარდანიან
მიიღო

_____
ნ.მკოიან
ჩააბარა

ნებართვა # 3546

ნებართვა # 3546

ნებართბის დასახელება	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან
მოკლე აღწერა	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან, სატენდერო დოკუმენტაციის 5.9 პუნქტის შესაბამისად, გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის 15 კმ-იანი დაშორების შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო
სტატუსი	თანხმობა
დამატებულია	14:30 24/10/2016
სტატუსი მინიჭებულია	16:15 24/10/2016
ტენდერის ნომერი	CON150000070
შესყიდვის ობიექტი	დიზელი (გატანა ავტოგასამართი სადგურიდან)
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი	1.33
მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის (ერთეული კილომეტრებში)	100

არაგამარჯვებული მიმწოდებლის დასახელება, რომელმაც შემოგთავაზათ ყველაზე დაბალი ფასი და რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	შპს'"მეკკი"
არაგამარჯვებული მიმწოდებლის შემოთავაზებული ფასი (წინადადება), რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	1.37
მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის, რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა (ერთეული კილომეტრებში)	12
მიმდინარე თვის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ეკონომია (ლარებში), საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში	75-95
ბაზრის კვლევის შედეგები. გთხოვთ, მიუთითოთ სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებლების დასახელება (არსებობის შემთხვევაში) და მათ მიერ შემოთავაზებული ფასები (ჩამონათვალი გამოყავით მძიმეებით)	1.37
თვე, რომლის საჭიროებასაც წარმოადგენს არაგამარჯვებულთან საწვავის შესყიდვა (გთხოვთ თვეების ჩამონათვალი გამოყოთ მძიმეებით)	ოქტომბერი, ნოემბერი

საწვავის რაოდენობა (ლიტრებში), რომლის შესყიდვა/ჩასხმა გსურთ არაგამარჯვებულ მიმწოდებელთან	125
თქვენი კომენტარი	კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი" გასამართი სადგური ჩვენი ორგანიზაციიდან დაშორებულია 100 კმ-ით. საგზაო ხარჯების გათვალისწინებით ჩვენ ერთი ლიტრი საწვავის შესყიდვა მოგვიწევს მის თვითღირებულებაზე მაღალ ფასში , ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საწვავის შესყიდვა სკოლასთან ახლომდებარე ტენდერში არაგამარჯვებულ კომპანიის გასამართ სადგურიდან , რითაც ორგანიზაცია ექვსი თვის განმავლობაში 500-550 ლარს.